

გეშტალტიზაცია – შეგრძნებათაგან წარმოქმნილი ნელი, დიფუზური განცდების გადამუშავება ალქმის გეშტალტად, ალქმის ხატად. ალქმული გამოსახულება ყოველთვის მთლიანობითია. ესე იგი ის ნაწილების გაერთიანებით არაა მიღებული. ნაწილები მხოლოდ შეგრძნების დონეზეა, ხოლო შეგრძნების მასალის ალქმისეული გადამუშავებისას პირველადვე მთლიანი ხატი მიიღება – და არა ნაწილები; მთლიანი განსაზღვრავს ნაწილებს – და არა პირიქით. ალქმისეული ხატება ყოველთვის (დაბალგანვითარებული ცხოველის დონეზეც) მთლიანობითია. ვთქვათ, მაგ. გზის პირას ხეივანი შედგება სხვადასხვა ხეებისგან: ნაძვები (სქემაზე აღნიშნულია რუხი ზოლებით), ალვები (თეთრებით) და ცაცხვები (შავებით), რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად ასეა დარგული:




ხოლო ხეივნის უკან ქარხნის ნაგებობებია. ხეივნის წინ მყოფი ადამიანიც, წიწილაც, ირემიც და კუც შეიგრძნობს ხეების შესაბამის ლაქებს და მათ შორის აგრეთვე ქარხნის ნაგებობათა ლაქებსაც. ამ უსახურ ლაქებს შემდეგ ალქმა გადამუშავებს, კერძოდ, ასე – სწორედ ასე – და არა სხვაგვარად (ალქმის დარღვევებს უგულებელვყოფთ):

1. ფიგურა გამოიკვეთება ფონისაგან – ესე იგი, ხეები აუცილებლად გამოიკვეთება ნაგებობათა ფონისგან;
2. ლაქები გამთლიანდება და მოწესრიგდება – აღიქმება ხეების რიგი და სწორედ ჯგუფები (ოთხეულები);
3. ალქმული შინაგანად განაწევრდება – თითო ჯგუფი იქნება არა ერთგვაროვანი, არამედ ოთხი ხისგან შემდგარი (ცხადია, ცხოველს არა აქვს გაცნობიერებული არც ცნება „ხე“, არც რაოდენობა „ოთხი“...).

ეს გადამუშავება ალქმის თანდაყოლილი განწყობებით და თანდაყოლილი გეშტალტ-ხატებითაა განსაზღვრული. სწორედ მათ შესაბამისად ხდება გამთლიანება. თუმცა ხშირად მ-ის მიმართულებას და ესე იგი, მიღებული გეშტალტის სახეს არა თანდაყოლილი, არამედ გამოცდილებაში მყარად ფიქსირებული განწყობა ან დროებითი სიტუაციური განწყობა განსაზღვრავს.

გეშტალტთეორიის ერთერთი მაგალითი საყოველთაოდაა ცნობილი:

ამგვარ ორახროვან გამოსახულებას ზოგჯერ აღვიქვამთ ორ პროფილად, ზოგჯერ კი – ლარნაკად. ესე იგი, ზოგჯერ ფიგურად შუა მუქი ნაწილი ყალიბდება, თეთრი კი – ფონად; ხოლო ზოგჯერ პირიქით ხდება. მთავარი კი ისაა, რომ თუკი ადამიანს



წინასწარ ამოსაცნობად ათჯერ უჩვენებენ ადამიანების პორტრეტებს, მათ შორის პროფილებსაც, მაშინ მეთერთმეტეჯერ ნაჩვენებ ამ გამოსახულებაში ის ორ პროფილს დაინახავს, ანუ შუა შავი ნაწილი ფონად იქცევა. და პირიქითაც – ჭურჭლის სურათების შემდეგ ადამიანი ლარნაკს ხედავს. ასევე მოქმედებს ადამიანის გამოცდილებაში მყარად ფიქსირებული განწყობაც – მაგ., პორტრეტისტი პირველ რიგში პროფილებს დაინახავს, მეჭურჭლე კი – ლარნაკს.

მაშასადამე, აღქმაც კი არ ყოფილა გარესამყაროს პასიური არეკვლა. ადამიანს ორივე შემთხვევაში ზუსტად ერთიდაიგივე შეგრძნებები მისდის. მაგრამ ამ ნელლი მასალით სხვადასხვა გეშტალტ-ხატი ყალიბდება – იმისდამინდევით, თუ როგორია ადამიანის განწყობა (აღქმის თანდაყოლილ მყალიბებელ სქემათა, ანუ, უფრო ზუსტად, თანდაყოლილ განწყობათა ჩათვლით).

გეშტალტს არ სჭირდება **ცნობიერება**, იგი თავისთავადაა:

- I. ფონიდან გამოკვეთილი (მაგ., ზემორე მაგალითში ხეივანი არაა შეხელილი ნაგებობებში);
- II. მთლიანობითი (ხეივანი ერთ მთლიანად აღიქმება, ხეების ოთხეული აუცილებლად ერთ მთლიანობად აღიქმება; წყვილების აღქმა ამ ხეივანში საკმაოდ ძნელია, ხოლო ხუთეულებისა – შეუძლებელი);
- III. და თან შინაგანად განაწევრებული (არც თვითველ ჯგუფშია ხეები ერთმანეთში შეხელილი).

მაგრამ ეს გეშტალტები არაა საგნები, არაა **ობიექტივირებული** ანუ **საგან-ობიექტებად** ქცეული, თუკი არ მოხდა მათი **გაცნობიერება**. მთავარი კი ისაა, რომ აღქმის ხატი არის არა გარესამყაროს მექანიკური არეკვლა, არამედ ანარეკლის (ნეიროფიზიოლოგიური დონის შეგრძნების) არსებითი გადამუშავება (თანდაყოლილი და აგრეთვე გამოცდილებით გამომუშავებული განწყობებით). სწორედ ამიტომ ხშირად ხდება აღქმის **ილუზიები**.

მხოლოდ ნელლი შეგრძნების მასალაა უგეშტალტო. ამის მაგალითია ფსიქოლოგ რ. ნათაძის მიერ აღწერილი თვითდაკვირვება: გაღვიძებისთანავე მან შეიგრძნო „რაც სიმწვანე“, უგეშტალტო, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ ჩამოყალიბდა ფანჯრიდან დანახული ხის ტოტების გეშტალტ-ხატად; ანუ ფსიქოლოგმა მოასწრო **ბ**-ის პროცესის შემჩნევა. **ბ** მკვეთრად იჩენს თავს ენასთან დაკავშირებითაც [იხ. **მეტყველების გეშტალტები**].

ადამიანი, ჩვეულებრივ, ვერ აცნობიერებს **ბ**-ის პროცესს, რადგან ის გაუცნობიერებლად, ავტომატურად მიმდინარეობს, თანაც – წამის მეათედ დროში. მაგრამ **პათოლოგიები** ამ პროცესს ცხადად გვიჩვენებს, რადგან ის ირღვევა. ზოგი ფსიქიკური აშლილობისას ან თავის ტვინის ზოგი უბნის დაზიანებისას ანდა დროებითი გათიშვისას **ბ** ირღვევა: ავადმყოფი ხედავს, მაგ., ჩიტს, ესმის მისი ჭიკჭიკიც, მაგრამ ეს ორი შეგრძნება ცალ-ცალკეა, მათ შორის არავითარი კავშირი არაა; ამას ისიც კი ვერ შველის, რომ ავადმყოფმა გონებით იცის, რომ ჩიტი ჭიკჭიკებს – ავადმყოფი ამას ვერ აღიქვამს, ვერ განიცდის; ვერ იქმნება მოჭიკჭიკე ჩიტის გეშტალტი. სხვა მაგალითი: ავადმყოფი ხედავს რუხ, მწვანე და ცისფერ ლაქებს, ისიც კი იცის, რომ მის წინ ფანჯარაა, რომლიდანაც ხის ფოთლები და ცისფერი ცა მოჩანს, მაგრამ ვერცერთ ამ საგანს ვერ ხედავს, ვერ აღიქვამს.

ბ, აღქმის გარდა, სხვა მოღალღებებსაც ახასიათებს: **ხანგრძლივ მენსიერებას, აზროვნებას, მოტივაცია-ნებელობას...** მაგ.: ვაკეთებთ რაღაც საქმეს, ამ დროს დიასახლისი გვეძახის სადილზე; როგორც წესი, ჩვენ მაშინვე კი არ ვწყვეტთ მუშაობას, არამედ ჯერ რაიმე ნაწილს მოვამრგვალებთ და მერე მივიღვართ სადილზე. სხვა მაგალითი: კედელზე ცერად დაკიდებული სურათი გაუცნობიერებლად

აღძრავს მისი გასწორების იმპულსს. ამ შემთხვევებშიც ცხადია პრეგნანტობა – მისწრაფება შედარებით დასრულებულისკენ, სრულყოფილისკენ.